**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**ბრძანება N** 01-10/146

ქ. ბათუმი 18 ნოემბერი, 2022 წ.

**ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის 2022 წლის 14 ნოემბრის N1449859 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. გამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში არაუმეტეს 2 (ორი) თვის ვადით სტაჟირების გავლის მიზნით კანდიდატთა (სტაჟიორთა) შესარჩევად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 ან/და მე-4 სასწავლო წლის სტუდენტსა და ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს.
3. კონკურსანტმა **2022 წლის 18 ნოემბრიდან 2022 წლის 25 ნოემბრის** ჩათვლით ბსუ-ს ელექტორნული ფოსტის (Info@bsu.edu.ge) მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:

   ა) წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ (სტაჟირების გავლის წესით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად შევსებული);
   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) CV;
   დ) ცნობა აქტიური სტუდენტის სტატუსის შესახებ და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემიდან სასწავლო ბარათი;
   ე) ერთი ფოტოსურათი (3X4);
   ვ) ცნობა სოციალური დახმარების მიღების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
   ზ) სამოტივაციო წერილი.
4. სტაჟიორთა შერჩევისას გაითვალისწინება: ინგლისური ენის ცოდნა; საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა; სტუდენტის აკადემიური მოსწრება და მოტივაცია. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება სოციალური დახმარების მიმღები ოჯახის კანდიდატს.
5. კონკურსის წესით შეირჩეს 4 სტაჟიორი, შერჩეულმა კანდიდატებმა 2 თვის განმავლობაში გაიარონ სტაჟირება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში შემდეგი განრიგით:
   ა) 2-მა სტაჟიორმა პირველ ცვლაში: ორშაბათი - პარასკევი $9^{00}$სთ - $13^{00}$სთ;
   ბ)2-მა სტაჟიორმა მეორე ცვლაში: ორშაბათი - პარასკევი $14^{00}$სთ - $18^{00}$სთ.

6. შერჩეულმა სტაჟიორებმა სტაჟირების პერიოდში უნდა შეასრულონ ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსხურის დებულებებითა და სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები.
7. სტაჟიორთა ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე განისაზღვროს 1 (ერთი) წარმატებული სტაჟიორი, რომელიც შესაძლებელია დასაქმდეს არაუმეტეს 6 თვიანი კონტრაქტით და მასზე გაიცეს სერტიფიკატი.
8. სტაჟირების კონკურსის ჩატარების მიზნით შეიქმნას სტაჟიორთა საკონკურსო კომისია, რომელმაც განსაზღვროს კონკურსის ჩატარების ვადები და ინფორმაცია განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
9. განცხადება სტაჟიორთა კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
10. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი** **მ. დიასამიძე**